ა(ა)იპ „მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტო“

სატენდერო დოკუმენტაცია

(CPV66514110 ავტო დაზღვევის მომსახურების შესყიდვა)
გამარტივებული ელექტრონული ტენდერი
შესყიდვის სავარაუდო ღირებულებაა 5500 ლარი

წინამდებარე სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილია ,,სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ საქართველოს კანონისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის №9 ბრძანებით დამტკიცებული ,,გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის'' საფუძველზე

2016წ
ქ. თბილისი

1. ინსტრუქცია ტენდერში მონაწილეთათვის

1.1. სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში (შემდგომში-სისტემა) შესყიდვების პროცედურები ხორციელდება საქართველოს კანონის ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ'' და ,,გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ'' სახელმწიფო შესყიდვების სააგანეტოს თავჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის №9 ბრძანების შესაბამისად.

1.2. სახელმწიფო შესყიდვების ელექტრონული სისტემის მომხმარებლის სახელმძღვანელო მოცემულია საიტზე: www.procurement.gov.ge.

1.3. ტექნიკური დოკუმენტაციის განხილვისას უცხოენოვან დოკუმენტს და მის ქართულ ენაზე შესრულებულ თარგმანს შორის, პრიორიტეტის მინიჭების საკითხს წყვეტს სატენდერო კომისია.

1.4. სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების ფორმა და პირობები მოცემულია სატენდერო დოკუმენტაციაში, რომელიც ხელშეკრულების დადების მომენტისათვის დაზუსტდება სატენდერო წინადადების შესაბამისად.

1.5. პრეტენდენტს არა აქვს უფლება წარმოადგინოს ალტერნატიული წინადადება.

1.6. სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში ატვირთული ყველა დოკუმენტი და ინფორმაცია ხელმოწერილი და ბეჭედდასმული (ბეჭდის არსებობის შემთხვევაში) უნდა იყოს უფლებამოსილი პირის მიერ.

1.7. სატენდერო დოკუმენტაციასთან დაკავშირებული განმარტებების მიღება პრეტენდენტს შეუძლია სისტემის მოდულის – ,,კითხვა/პასუხის" მეშვეობით, ან/და სატენდერო კომისიის აპარატში. ქ. თბილისი, მიცკევიჩის N29-29ა, საკონტაქტო პირი: ნუგზარ შარიქაძე ტელ:*+995 (0) 32 237 82 67; 577 114 547*

1. ტექნიკური მოთხოვნები

1.1 პრეტენდენტებმა ტექნიკური დოკუმენტაციის სახით სისტემაში უნდა ატვირთონ შემდეგი დოკუმენტები და ინფორმაცია:

ა) რეკვიზიტები დანართი N1-ის შესაბამისად;

ბ) შესაბამისი საქმიანობის ლიცენზია;

გ)ინფორმაცია პრეტენდეტის უკანასკნელი 2 (ორი) წლის (2015-2016 წწ) განმავლობაში ანალოგიური მომსახურების გაწევის გამოცდილების შესახებ, რაზედაც ელექტრონულ სისტემაში უნდა წარმოადგინოს შესაბამისი გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტაცია შენიშვნა: უკანასკნელი 2 (ორი) წლის (2015-2016 წწ) განმავლობაში ანალოგიური საქმიანობის შესრულება არ გულისხმობს აღნიშნული საქმიანობის უწყვეტად განხორციელებას;

დ)ინფორმაცია ზარალის (სადაზღვევო შემთხვევის) დადგომის შემთხვევისას "მიმწოდებლისთვის" "შემსყიდველის" მიერ ზარალის ასანაზღაურებლად წარმოსადგენი დოკუმენტების შესახებ;

ე) ფასების ცხრილი დანართი N2-ის შესაბამისად.

შენიშვნა: სავალდებულოა სისტემაში ატვირთული ნებისმიერი დოკუმენტი ხელმოწერილი და ბეჭედდასმული (ბეჭდის არსებობის შემთხვევაში) იყოს პრეტენდენტის შესაბამისად უფლებამოსილი პირის მიერ (საჭიროების შემთხვევაში ატვირთულ უნდა იქნას მინდობილობა ან რწმუნებულება).

1.2 სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონული სისტემაში სატენდერო წინადადების (ტექნიკური დოკუმენტაციისა და სატენდერო წინადადების ფასი) წარდგენით პრეტენდენტი ავტომატურად გამოხატავს თანხმობას ამ პუნქტის „ა" -„ზ" ქვეპუნქტებში განსაზღვრულ მოთხოვნებზე:

ა) ანგარიშსწორება განხორციელდება ერთჯერადად/ეტაპობრივად. ანგარიშსწორებისათვის შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის უნდა გაფორმდეს მიღება-ჩაბარების აქტი. მიმწოდებელი ვალდებულია მიაწოდოს შემსყიდველს თანმხლები დოკუმენტაცია. ანგარიშსწორება მოხდება შემსყიდველის მიერ ანგარიშფაქტურის წარმოდგენიდან და მიღება–ჩაბარების აქტის ხელმოწერიდან 10 სამუშაო დღის განმავლობაში.

ბ) წინასწარი გადახდის მექანიზმი არ გამოიყენება;

გ) სატენდერო წინადადება უნდა მოქმედებდეს მისი სისტემაში ატვირთვის დღიდან ,,ხელშეკრულება დადებულია", ,,დასრულებულია უარყოფითი შედეგით" ან ,,ტენდერი შეწყვეტილია" ეტაპების დადგომამდე;

დ) ტენდერში გამოყენებული იქნება სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის გარანტია (ელექტრონული გარანტია) სატენდერო განცხადებაში მითითებული სავარაუდო ღირებულების 1(ერთი)%-ის ოდენობით, რომლის მოქმედების ვადა განისაზღვრება:

- ელექტრონული გარანტიების რეესტრის მეშვეობით გაცემული ელექტრონული გარანტიისათვის არანაკლებ 120 (ასოცი) კალენდარული დღით, ტენდერისათვის სტატუსის – ,,წინადადებების მიღება დაწყებულია'' მინიჭების ეტაპიდან;
- იმ შემთხვევაში, თუ ელექტრონული გარანტია წარდგენილია საბანკო პლასტიკური ბარათიდან სააგენტოს ანგარიშზე თანხის გადარიცხვის გზით შესაბამისი ტენდერისთვის საბოლოო სტატუსის მინიჭებამდე.

ე) სატენდერო წინადადებაში საერთო და ერთეულის ფასი გამოსახული უნდა იყოს ყველა ხარჯისა და საქართველოს კანონმდებლობით დაწესებული გადასახადის გათვალისიწინებით;

ვ) პრეტენდენტს არა აქვს უფლება წარმოადგინოს ალტერნატიული წინადადება.

ზ) „გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანების მე-11 მუხლის 2^1 პუნქტის საფუძველზე, იმ შემთხვევაში თუ ტენდერში ყველაზე დაბალი ფასის წინადადების მქონე პრეტენდენტის მიერ სისტემაში დაფიქსირებული საბოლოო ფასი 20%-ით ან მეტით დაბალი იქნება შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულებაზე, პრეტენდენტმა შემსყიდველი ორგანიზაციის წერილობითი მოთხოვნის შემდეგ, შემსყიდველის მიერ განსაზღვრულ ვადაში უნდა წარმოადგინოს/ატვირთოს ფასწარმოქმნის ადეკვატურობის დასაბუთება. ფასწარმოქმნის ადეკვატურობა, შესაძლებელია დასაბუთდეს ექსპერტიზის დასკვნით, შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებით პრეტენდენტის მიერ გაფორმებული ხელშეკრულებით, მიღება-ჩაბარების აქტით, სასაქონლო ზედნადებით ან/და ანგარიშფაქტურით.

2. ტექნიკური დავალება
(სატენდერო წინადადების წარდგენით პრეტენდენტი ავტომატურად გამოხატავს თანხმობას სატენდერო დოკუმენტაციის ტექნიკური დავალებით განსაზღვრულ მოთხოვნებზე)

2.1 ავტომანქანის დაზღვევის მომსახურების უზრუნველყოფა მოიცავს ა(ა)იპ „მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტოს“ ბალანსზე რიცხული 5 (ხუთი) ერთეული ავტომანქანის დაზღვევის მომსახურებას საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, ასევე თურქეთის, აზერბაიჯანის და სომხეთის ტერიტორიაზე;
2.2 მიმწოდებელმა მომსახურების გაწევა უნდა უზრუნველყოს ხელშეკრულებაზე ხელმოწერის დღიდან 2017 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით (ყოველდღიურად, 24 საათის განმავლობაში, სადღესასწაულო და დასვენების დღეების ჩათვლით).
2.3 ზარალის ანაზღაურება უნდა მოხდეს მოთხოვნილი დოკუმენტაციის სრულად წარდგენიდან არაუმეტეს 10 (ათი) სამუშაო დღისა, ქურდობა ყაჩაღობის შემთხვევაში მაქსიმუმ 1 (ერთი) თვეში;
2.4 დასაზღვევი 5 (ხუთი) ერთეული ავტომანქანის საერთო საბაზრო ღირებულებაა **84000 ლარი (ოთხმოცდაოთხი ათასი ლარი) ლარი;**
2.5 ავტოტრანსპორტის სრული დაზიანება (განადგურება) – ავტომანქანის დაზიანება 70%-ით ან მეტით ანუ სატრანსპორტო საშუალება ითვლება განადგურებულად (სრული დაზიანება), თუ ავტოტრანსპორტის აღდგენითი ღირებულება მისი საბაზრო ღირებულების (ზარალის მომენტისათვის) 70%-ს ან მეტს შეადგენს.

ა(ა)იპ მინიციპალური სერვისების განვითარების სააგენტოს ბალანსზე არსებული ავტომანქანები

№	მარკა	მოდელი (ძრავის მოცულობა)	გამოშ. წელი	სახ. ნომერი	საბალანსო ღირებულება (ლარი)
1.	კია სერატო	**1.6**	**2012**	**SC022CS**	20000
2.	კია პიკანტო	**1.0**	**2011**	**SS950OO**	12000
3.	ფორდ ფიესტა	**1.2**	**2015**	**OO395GG**	20000
4.	ტოიოტა რავ 4	**2.3**	**2008**	**WN546NW**	17000
5.	ჰიუნდაი I 20	**1.4**	**2013**	**SS030VV**	15000

2.6 ავტომანქანის სავალდებულო სადაზღვევო რისკების ჩამონათვალი:
ა) ავტოტრანსპორტისათვის გარეგანი ზემოქმედებით მიყენებული დაზიანება; ავტოსაგზაო შემთხვევა; ხანძარი; აფეთქება; დაზღვევის საგნის გატაცება; გატაცების მცდელობა, ქურდობა, ძარცვა, ყაჩაღობა, ვანდალური ქმედება, სტიქიური მოვლენები, საგნების ვარდნა, მინების, სარკეების, აქსესუარებისა და სხვა დეტალების, ასევე დამატებითი აღჭურვილობის დაზიანებით ან/და ქურდობით. დაზღვევის მომსახურება ასევე უნდა მოიცავდეს ავტოტრანსპორტის ევაკუაციასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურებას.
ბ)სამოქალაქო პასუხისმგებლობა მესამე პირთა წინაშე; კერძოდ, დაზღვეული ავტოტრანსპორტის უფლებამოსილი მძღოლის მიერ ექსპლუატაციისას მესამე პირის სიცოცხლის, ჯანმრთელობისა და/ან ქონებისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების პასუხისმგებლობის დადგომა; ლიმიტი ავტომობილზე არანაკლებ **18 000** ლარი (ფრანშიზა 0%);
გ) მძღოლისა და მგზავრების უბედური შემთხვევისგან დაზღვევა. სერთიფიკატში (პოლისში) მითითებული ლიმიტის ფარგლებში დაზღვეული მგზავრების ან/და მძღოლის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესებასთან ან/და გარდაცვალებასთან დაკავშირებული ხარჯები, რაც გამოწვეულია დაზღვეული ავტომობილით მგზავრობისას დაზღვეული ავტომობილის ავტოსაგზაო შემთხვევით. ლიმიტი ავტომობილზე არანაკლებ **3600** ლარი სუბლიმიტი ერთ პირზე არანაკლებ 2000 ლარი (ფრანშიზა 0%);

2.7 ფრანშიზას პირობები :

2.7.1 ნაწილობრივი და სრული ზარალის შემთხვევაში 0% (მათ შორის აქსესუარების ცალკეული დაზიანება ქურდობის შემთხვევაში);

2.7.2 მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) წარმოადგინოს ინფორმაცია იმ დოკუმენტების ჩამონათვალზე, რომელიც სავალდებულო იქნება ზარალის დადგომის შემთხვევაში შემსყიდველის მიერ მისთვის წარსადგენად, რომ განხორციელდეს ზიანის ანაზღაურება;

ბ) დაზღვევის მომსახურების დადასტურების მიზნით გადასცეს შემსყიდველს შესაბამისი დაზღვევის პოლისი;

გ) მოახდინოს სადაზღვევო ანაზღაურების გაცემა ანაზღაურებისათვის აუცილებელი ყველა საჭირო დოკუმენტის მიღებიდან არაუმეტეს 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში, ხოლო მესამე პირთა მართლსაწინააღმდეგო ქმედებით ზიანის მიყენების, ქურდობა, ძარცვა, ყაჩაღობის (მათი მცდელობის) რისკზე სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას, სადაზღვევო ანაზღაურება გაიცემა ანაზღაურების გაცემისათვის აუცილებელი ყველა საჭირო დოკუმენტის მიღებიდან მაქსიმუმ 1 (ერთი) თვის ვადაში.

დანართი №1

რეკვიზიტები:

პრეტენდენტის იურიდიული ფორმა და დასახელება:

ხელმძღვანელის სახელი და გვარი:

პრეტენდენტის იურიდიული ან/და ფაქტიური მისამართი:

საიდენტიფიკაციო კოდი:

პრეტენდენტის ტელეფონის ნომერი:

ელექტრონული მისამართი:

ბანკის კოდი:

ანგარიშის ნომერი:

პრეტენდენტის ხელმოწერა_____

და ბეჭედი

დანართი №2

ფასების ცხრილი

№	მარკა	მოდელი (ძრავის მოცულობა)	გამოშ. წელი	სახ. ნომერი	საბაზრო ღირებულება (ლარი)	ერთეულის ფასი (ღირებულება 1 თვეში)	საერთო ფასი (ღირებულება 12 თვეში)
1.	კია სერატო	**1.6**	**2012**	**SC022CS**			
2.	კია პიკანტო	**1.0**	**2011**	**SS950OO**			
3.	ფორდ ფიესტა	**1.2**	**2015**	**OO395GG**			
4.	ტოიოტა რავ 4	**2.3**	**2008**	**WN546NW**			
5.	ჰიუნდაი I 20	**1.4**	**2013**	**SS030VV**			

პრეტენდენტის ხელმოწერა_____

და ბეჭედი

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების პროექტს, რომელიც დაიდება გამარტივებული ელექტრონული ტენდერის ჩატარების შედეგად გამარჯვებულ პრეტენდენტთან. წინამდებარე ხელშეკრულების პროექტის პირობები დაზუსტდება გამარჯვებული პრეტენდენტის სატენდერო წინადადების შესაბამისად, რომელიც ამავდროულად თანდართული ექნება ხელშეკრულებას, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი

ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ №

(გამარტივებული ელექტრონული ტენდერი № **SPA**----------)

წინამდებარე ხელშეკრულება დაიდო--------წლის ---------- ქ. თბილისში

შემსყიდველი: ა(ა)იპ მინიციპალური სერვისების განვითარების სააგენტო, წარმოდგენილი მისი **თავჯდომარის ვახტანგ ჭედისვილის** სახით.

მისამართი: ქ.თბილისი, ა. მიცკევიჩის ქუჩა №29/29ა, ტელეფონი *+995 (0) 32 237 82 67.*

საბანკო რეკვიზიტები: სახელმწიფო ხაზინა, ანგარიშის № 741873459 ბანკის კოდი TRESGE22, ს/კ 405026877

მიმწოდებელი:

საიდენტიფიკაციო კოდი:

მისამართი:

ხელმძღვანელი:

საბანკო რეკვიზიტები:

ერთი მხრივ _ **შემსყიდველი**, და მეორე მხრივ _ **მიმწოდებელი**, ადასტურებენ, რომ მათ შორის მიღწეულია შეთანხმება შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტებები

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომში _ „ხელშეკრულება“) _ შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.

1.2. „ხელშეკრულების ღირებულება“ _ საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3. „დღე“, „კვირა“, „თვე“ _ კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4. „შემსყიდველი“ – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5. „მიმწოდებელი“ – პირი, რომელიც ახორციელებს მომსახურებას ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6. „მომსახურება“–ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

1.7 „ტექნიკური დავალება“ – სატენდერო დოკუმენტაციის ტექნიკური დავალება, რომელიც დაერთვება ხელშეკრულებას, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი

2. ხელშეკრულების საგანი

2.1 ა(ა)იპ მინიციპალური სერვისების განვითარების სააგენტოს ბალანსზე არსებული ავტომანქანების დაზღვევის მომსახურების შესყიდვა.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 ხელშეკრულების ღირებულებაა: --------- **ლარი.**

3.2 ხელშეკრულების ღირებულება შეიცავს მიმწოდებლის ყველა ხარჯებსა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ გადასახადებს, დაკავშირებულს მომსახურების გაწევასთან.

4. მხარეთა უფლება–მოვალეობები

4.1 მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) სააგენტოს გაუწიოს მის ბალანსზე არსებული ავტომანქანების დაზღვევის მომსახურება.

4.2 მიმწოდებელი უფლებამოსილია:

ა) შემსყიდველს მოსთხოვოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება.

4.3 შემსყიდველი ვალდებულია:

ა) განახორციელოს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოთხოვნების დაცვით გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება.

4.4 შემსყიდველი უფლებამოსილია:

ა) მიმწოდებლისგან მოითხოვოს მომსახურების გაწევა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ დროსა და ადგილას;

ბ) შეამოწმოს მოსახურების გაწევის ხარისხი.

გ) მონიტორინგის შედეგად მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დარღვევის აღმოჩენის შემთხვევაში მისცეს მას მითითება ვალდებულებების დარღვევის გამოსწორების შესახებ ან შეწყვიტოს (არ განახორციელოს) მიმწოდებლის დაფინანსება.

5. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

5.1 გაწეული მომსახურების ანაზღაურება განხორციელდება ეტაპობრივად, წინამდებარე ხელშეკრულების 6.3 პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტაციის წარმოდგენიდან 10 სამუშაო დღის განმავლობაში.

5.2 ანგარიშსწორების ვალუტა: ლარი;

5.3 ანგარიშსწორების ფორმა: უნაღდო.

6. მიღება-ჩაბარების წესი

6.1 წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების მიღების მიზნით, შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტი.

6.2 შემსყიდველის მხრიდან მიღება–ჩაბარების აქტზე ხელმოწერის უფლებამოსილება ენიჭება ----------.

6.3 მომსახურების მიღების დადასტურების მიზნით შემსყიდველისა და მიმწოდებლის მიერ ხელმოწერილ მიღება-ჩაბარების აქტთან ერთად სავალდებულოა საგადასახადო ანგარიშფაქტურის წარმოდგენა.

7. მომსახურების გაწევის ადგილი და ვადა

7.1 მომსახურება უნდა განხორციელდეს საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, ასევე თურქეთის, აზერბაიჯანის და სომხეთის ტერიტორიაზე.

7.2მოსმსახურება უნდა განხორციელდეს ხელსეკრულებაზე ხელმოწერის დღიდან 2017 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით (ყოველდღიურად, 24 საათის განმავლობაში, სადღესასწაულო და დასვენების დღეების ჩათვლით).

8. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირება

8.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირებას განახორციელებს ----------.

8.2 ინსპექტირება გულისხმობს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულების, აგრეთვე გაწეული მომსახურების ხარისხის კონტროლს.

8.3 ყველა გამოვლენილი ხარვეზის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

9. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

10.1 მხრაეებმა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები უნდა შეასრულონ კეთილსინდისიერად და ჯეროვნად ხელშეკრულებით დათქმულ დროსა და ადგილას და შეთანხმებული ხარისხით.მხარეები პასუხს აგებენ ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულებისათვის ხელშეკრულებით და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით .

10.2 ფორს-მაჟორული გარემოებების არსებობის შემთხვევის გარდა, მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში, მიმწოდებელს ფორს-მაჟორული გარემოებების არსებობის შემთხვევის გარდა, მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში, მიმწოდებელს დაექისკრება პირგასამტეხლო, რომლის ოდენობა განსაზღვრულია ხელშეკრულებით.

10.3 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების შეუსრულებლობის შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია დააკისროს მიმწოდებელს პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 20 %-ის ოდენობით.

10.4. მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულებისათვის (მათ შორის, ვალდებულების შესრულების ვადაგადაცილების შემთხვევაში) შემსყიდველი უფლებამოსილია დააკისროს მიმწოდებელს პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შესასრულებელი ვალდებულების შესაბამისი ღირებულების 0.02 %-ის ოდენობით.

10.5. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების ნაწილობრივ შესრულების შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია დააკისროს მიმწოდებელს პირგასამტეხლო შესასრულებელი (დარჩენილი) ვალდებულების შესაბამისი ღირებულების 10%-ის ოდენობით.

10.6. ვალდებულების ნაკლიან შესრულებად ჩაითვლება მიწოდება მომსახურების, რომელიც არ არის მხარეებს მიერ შეთანხმებული ხარისხის მქონე ან ასეთი შეთანხმების არარსებობის შემთხევაში, გამოსადეგი ჩვეულებრივი სარგებლობისათვის.

10.7. დაკისრებული პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

10. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

10.1 ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

10.2 ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

10.3 ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

11. დაუძლეველი ძალა

11.1 მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

11.2 თუ ერთ-ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან;

11.3 მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

12. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

12.1ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

13.1 ხელშეკრულება ძალაში შედის ----------.

14. მხარეთა ხელმოწერები

შემსყიდველი

მიმწოდებლის

_____

_____